

რედაქცია

გულაგინის ბროსეიტზე თვ. ივ. მუსხისხის სას. ლეში კლუბის ქვეყნად.

ხელის-მწერა

მიღდება ტელისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭავჭავაძის ქუჩის მდებარეობა. ვარდუჯი მცხოვრებთა: დროის ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІИ „ДРОБѢ“

„დროების“ ფასი:

მთლიან წლისა . . . 9 მან. } სამის თვისა . . . 3 მან.  
ქვეის თვისა . . . 5 მან. } ერთი თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა

ფასი განცხადებინა

დიდის ასობით, მთელი წელიწადი განცხადებულა. ღირსი ასობით განცხადებულა. სტრატეგიაზე რვა კაცისა. თუ საქართვება მოითხოვს, რედაქცია განსწავლავს და შეამოყვებს დასაბუთებულ განცხადებებს. დაუბუღებელ წერილს რედაქცია არაღიარებს და არაბრუნებს. განცხადება მთელი წელიწადი, რედაქცია და სხვა ექვეყნად. ქუთაისში განცხადება მთელი წელიწადი განცხადებულა. დასაბუთებულა.

ცალკეობა „დროების“ დასაბუთებულა.

ივანე დავითის-ძე სულხანოვი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა გარდაცვალებასა დედისა თვისისა **სალომე თუბანოვის ასულისას** და უმოჩინოდ სთხოვს მათ მოარძანდნენ დასაფლავების დროს სოფელს ტირძინის პარასკევს ამ იანვრის 7 დღესა, დილით. (2-1)

## ტელეგრაფი

(„საბრძოლო ტელეგრაფის სააგენტოს“)

### სამსუდრო გარეთიდან

31 ს დეკემბერს.

**ბერლინი.** სამსუდრო მინისტრმა აცხადებდა ბიუჯეტის განმარტებას, რომ მთავრობის განკარგულებით არტიკლერის ჯანების რიცხვი უნდა მოამტკებულ აქმეს. რეისიტატმა ერთ-ხმად მიადლო წინადადება, რომ იმპერატორს მადლობა გამოეცხადოს წყალ-დიდობისგან დასარ: ლეუტოთა შემწეობისათვის.

**პარიზი.** გამბეტრას გვამს შახათს გზავნიან ნიჭისა, სადაც დიდებოდა უნდა დასაფლავდეს.

1 იანვარს.

**პარიზი.** დღეს გამბეტრას გვამი ნიჭისა გაისტუმრეს; ვაგონი, რომელშია გვამი ესვენა, შავა მუდით, სამ-ფერადან დროშებითა და დაფინს ტოტებით იყო მორთული; სამსუდრო-ლაგება არც ნიჭისა დაესწრება იმის დასაფლავებას.

გამცხადებულა ოფიციალურად ქადაგი, რომელშია საფრანგეთის მთავრობა ამბობს, რომ ის დაიცავს საფრანგეთის უფლებებს ეგვიპტეში; ამბობენ, ეგვიპტის სექსის თაობაზედ კონტრენტია იქნება მოწვეულია.

ფრანგულულ გაზეთებმა გამართეს ხელის-მწერა წყლისაგან დასარაღებულ ალმას-ლოტარინგელების სასარგებლოდ, რომელთაც პატრიოტულის გრძნობის გამო, არ მიიღეს გრძნობის მთავრობისაგან არავითარი შემწეობა.

**სტამბოლი.** ოსმალს მთავრობა თხოვლობს, რომ იტალიელი კონსული ტრანზიტისა გამოცვლილი იყოს, რადგან ტრანზიტში მომხდარა უწყობა იმის პრადია.

3 იანვარს

**ვენა.** ანგლისის მთავრობამ ჩაახარა ავსტრიისს ნოტ ეგვიპტის საქმეებს შესახებ.

### რუსეთიდან

31 დეკემბერს

**პეტერბურგი.** გაზ. „პეტ. უწყებებში“ დაბეჭდილი ამავა, ფინდიან-

დაში რუსეთის გავლენა მცირდება, ტყუილია.

გუშინ აქაურს ფრანგების ეპილე-სიაში გარდაინადეს ზანაშიდი ღენ. შანსის მოსახსენებულად, რომელზედაც დაესწრნენ დ. მ. გლადიმირ ალექსანდრეს-ძე, სამსუდრო მინისტრი, საფრანგეთის საელჩო და სხვ.

**ოდესსა.** „რეცხლის-გემებისა და ვაჭრობის რუსეთის საზოგადოება“ რეინის გზების შეკერა პირაბით და ამ წლის თებერვლიდან გადაიტანს რუსეთის ყოველ გზარ საქონელს ჩინეთში, ინდოეთში და ეგვიპტის ნავთსადგურებში.

**როსტოვი.** როსტოვო-გლადიკავის რეინის გზაზე 29 დეკემბერს ორი მატარებელი დაეტაკა ერთმანეთს: სამი ვაგონი დაიჭრა, სამი კაცი მძიმედ დაჭრილია.

2 იანვარს

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი იმპერატრიცითა და უაგუსტოსას შვილებით გადმოვიდნენ გუშინ განხილადმ შეტრებულში; სტანციადაც მათი იმპ. უდიდ. ჯერ ვახანის სობორში მიბრძანდნენ, შემდეგ შეტრებულავსკის სობორში და იქიდან პირ-და-პირ ანიკავის სასახლეში.

დ. მ. მახვილ ნიკოლოზის-ძე სახელმწიფო რჩევის თავსმჯდომარედ არის დამტკიცებული. სტანცია დაინიშნა კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

მწერალს გონხარავს გუშინ შეუსრულდა 50 წელიწადი ლიტერატურულ მოღვაწეობისა, მეგობრებმა და თაყვანის მქმედებმა მიართვეს იმის მგირფსი საჩუქარი.

3 იანვარს.

**მოსკოვი.** მომეტებული ნაწილი ღენ. მელნიცისაგან მოწარულ ფულბისა იმის ქალს უბოგნეს

**ბერლინი.** დაიწვა აქაური ცირკი წარმოდგენის დროს; ბევრი ხალხი დაიღუბა.

**პეტერბურგი.** „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია სახელმწიფო შეიარაღ-გასაგლას ანგარიში 1883 წლისა: სულ შემოსავალი—778,505,423 მან.

გუშინ ქალაქის რჩევის წალში იდღესსწავლეს ასი წლის იუბილეი სახალხო სკოლების დაარსებისა.

**პეტერბურგი.** პირველ შინაგან სესხის ტირაჟში უმთავრესი მოგება შემდეგ ბაღუტებს ერგო.

№ ბილეთი.	№ სერიისა.	მოგება.
29	14471	200,000
48	14027	75,000
25	17008	40,000
3	8695	25,000
17	15447	10,000
11	19520	
20	6664	8,000
1	9709	
44	15770	5,000
15	9985	
32	17418	1,000
16	3841	
13	1132	1,000
15	19190	
29	94439	1,000
10	10403	
50	12164	1,000
14	15455	
24	52	1,000
7	8948	
21	4814	1,000
4	13178	
36	16751	1,000
34	12634	
10	10784	1,000
40	16465	
1	2280	1,000
44	4719	
12	3254	1,000
37	15665	
10	2929	1,000
49	19526	
8	10681	1,000
43	6687	
5	12138	1,000
11	9401	
26	5683	1,000
39	786	
35	10063	1,000
46	11299	

ზასაუქმებელ ტირაჟში გამოვიდა შემდეგი სერიები შინაგან სესხის ბილეთებისა:

217, 347, 544, 672, 709, 713,
919, 1013, 1061, 1087, 1220,
1560, 1915, 1932, 2398, 2794,
2857, 4081, 4104, 4503, 4534,
5211, 5479, 5636, 6033, 6203,
6635, 6764, 6815, 6972, 7713,
8139, 8549, 8757, 8806, 8879,
8939, 8171, 9233, 9432, 9469,
9473, 9625, 9968, 10268, 10390,
10930, 11087, 11877, 11992,
12059, 12381, 13697, 13181,
13245, 13861, 13913, 14048,
14310, 14842, 14946, 15863,
15932, 16221, 17755, 17673,
18036, 18930, 19572, 19680,
და 19796.

### გავლილი წელიწადი ეგვიპტეში.

ტელისი, 4 იანვარს.

„ბედნიერი წელიწადი არ იყო გავლილი 1882 წელიწადი მეროპისათვის. მით დაიწყო და თოფის-წამლის სუნიით გათავდა. ბევრი წარჩინებული პირი, მეცნიერებისა და საზოგადო, თუ პოლიტიკურ ცხოვრების წინ-წამ-წვეი მოაკლდა ამ წლის განმავლობაში მეროპას და მასთანამე მთელს ქვეყანას.

პირველი თოფი მეგვიპტეში გავარდა. მამულის-შვილმა არაბი-ფაშამ განიზრახა თავის ქვეყნის დახსნა უცხო ტომის ხალხის (განსაკუთრებით ინგლისის) გავლენისა და ბატონობისაგან. ეს განზრახვა მეგვიპტის საუკეთესო ძველ ქალაქის (ალექსანდრის) დანგრევა და თვითონ არაბის დამარცხებითა და შემდეგ თავის ქვეყნი-დამ განდევნით გათავდა. ინგლისმა კი უფრო მეტად ჩაეხლო კლანტები მეგვიპტეს.

ამ გვარიფე საქმე ჩაიდინა საფრანგეთმა თუნისში. აქაც რალაც უბრალო მიზნით ასტყდა ომი და ფრანცუზის ჯარებმა დაიმორჩილეს თუნისის ბეი. ახლა მადეგასკარის კუნძულს უღრტენს კბილებს საფრანგეთი; ამ პატარა სახელმწიფოს დაპყრობაც მსურს.

მთელი გავლილი წელიწადი გავლებში თითქმის გაუწყნარებელი ლაპარაკი იყო ხან ბერმინიასა და რუსეთს შორის დაკავშირებაზედ, ხან ბერმინიასა და ავსტრიას შორის; ხან საფრანგეთსა და ინგლისს შუა უკმაყოფილებაზე და კავშირზე; იტალიასაც ხან ერთს სახელმწიფოს მიუკედლებდნენ, ხან მეორეს.

შველა სახელმწიფო მეგობრებს ეძებს; ყველა ძალისა და ჯარების შემატებას ცდილობს, ყველა საომრად ემზადება.

ეს საზოგადო მოვლენა ახლანდელ დაუდგომელ დროში.

„ისეთი წყობილობა ამ ქაბად მეროპაში, ისეთი წესები მსუფვეს, ხალხთა შორის ისეთი უსამართლო და უსწორმასწორო დამოკიდებულება, რომ, ათასი იყვირონ და იქიდაგონ ფილანტროპებმა, რომ ომი და სისხლისღერა—მშვეობაო,—უომოდ, უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად ახლანდელი ქვეყანა ვერ მოთავსდება. სანამ ერთი ერთი მეორესაგან დაჩაგრულია, მანამ მშვიდობიანობას არაფერ არ უნდა მოელოდეს.“

„რასაკვირველია, სამართლიანობის დრო თან-და-თან ახლოვდება; კაცობრიობაში თან-და-თან იდგამს

ფესის ის აზრი, რომ ყველა ადამიანი ერთ-ნაირის ბედნიერებისათვის არის გაჩენილი, ყველას ერთი უფლება უნდა ჰქონდეს; მაგრამ, სანამ ის დრო მოაწევს, როდესაც ამ გვარი აზრი განხორციელდება და ხალხთა და კაცთა შორისი სამართლიანობა დამკვიდრდება, მანამ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ბევრს ზარბაზნის ხმას გაეგონებთ, ბევრ ტირილსა და ვაი-გაგლანს ენახათ.

ამ მხრით საგრძნობელია კაცობრიობისათვის იმისთანა კაცის სიკვდილი, როგორც შარშან მიცვალეული ბარიბალდი, რომელმაც მთელი თავის შესანიშნავი ცხოვრება თავის ქვეყნის განთავისუფლებასა და ერის წარმატებას შეაწირა. ამ გვარ კაცების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ტყუილად კი არ აღარებენ ქვეყნის მანათობელ და გამათობებელ მზეს: როგორც მზე ქვეყანას, ისე ბარიბალდისთანა კაცები უნათებენ ადამიანს ერთობ გამშრალ-გაცივებულ გრძობას და უჩვენებენ იმას ნამდვილ გზას წინ-მსვლელობისა და წარმატებისას.

ზამბეტას სიკვდილიც გავლილ წლის შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. რაც უნდა იყოს, საფრანგეთი ძინც მთელი მეროპის მოწინავე ქვეყნად არის ცნობილი და თუ ზამბეტას სიკვდილმა იმას რაიმე უბედურება მოუტანა, თუ იმის პოლიტიკური ცხოვრება შეაფერხა, — ეს, უეჭველია, იქნება შეფერხება მთელის მეროპის პოლიტიკურ ცხოვრების წარმატებისა.

ამას კარგად მიხვდა ლონდონის გაზეთი „ტიმისი“, რომელიც უბრალოდ სიტყვის სროლას არ არის ნაჩვევი, და რომელმაც ზამბეტას სიკვ-

ვდილის თაობაზედ სიტყვა, რომ ამ გარემოების შედეგი — მეროპის სახელმწიფოების თანასწორობის დარღვევა იქნებაო.

და ეს ადვილად შესაძლებელია, თუ წარმოვიდგენთ, ერთის მხრით, ზამბეტას პოლიტიკურ პლანებს (რუსეთთან და ინგლისთან დაახლოვება ბერმანის წინააღმდეგ საბრძოლველად) და, მეორეს მხრით, იმასაც, რომ მეროპის თეთქმის არც ერთს სახელმწიფოს არ მიუღწევია ჯერ ისეთს პოლიტიკურ ცხოვრებადინ, რომ იმის რომელიმე გავლენიან ერთის კაცის სიკვდილს ხშირად მთელს იმის ბედზე და მომავალზე არა ჰქონდეს გავლენა.

დღიური

ჩვენ შევიტყუეთ, რომ შუთაისის საადგილ-მამულთა ბანკის გამგეობას ქალაქი მოსვლია პეტერბურლიდამ ფინანსთ სამინისტროსაგან (კრედიტის კანცელარისაგან), რომ ხსენებულ ბანკს აღეკრძალება სესხის გიცემაო.

ამ საქმის თაობაზედ, როგორც ამბობენ. შუთ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ნ. ლოლობერიძე პეტერბურლში მიდისო.

ამ აღკრძალვის მიზეზს იმას ამბობენ, რომ ძრედიტის კანცელარის ერთობ ბევრი საჩივრები მიუდიოდაო ბანკის გამგეობის მოქმედების თაობაზედ.

ახლ-წლის დღესაწ ულის გამო, ტფ. გუბერნიის თავდაზნაურობამ, ქალაქმა და ქალაქის ხელოსნებმა მისალოცვი ტელეგრამები გაუგზავნეს პეტერბურლში დ. მ. მახვილ ნიკოლოზის-ძეს და ძაგასის მთავარ-მმართველს თ. ლონდუკოვ-ძარსაკოვს,

გი მოსდის, ჰხნავს, სთესავს; ორნი ძმანი არიან. აი გავგზავნოთ ბიჭ- (პგზანის) მანც რომდენი ჰპართებს? როგორც გეტყობათ, სიღნაღიდგან პოისტავი იმის გულისათვის მოგიყვანიათ?

არტემ. არა, სხვაგანაც მიმართებს, მაგრამ მაგისტრის კი მანც უფრო მოგიყვანე.

მგჯდ. მიკვირს, მაგ საწყალს თქვენ საიდგან მოუგენიხართ, სად უსესხნია თქვენგან ფული?

არტემ. ჩემგან კი არ უსესხნია, აი როგორ არი: მე მყავს ერთი ნათესავი, სიღნაღის ვაჭარი, მაგ გლენის ნათლია. იმისაგან უსესხნია ფული და ვენახი დაუგირავებია; იმას აქ სიარულის თავი არა ჰქონია და მაგას კიდევ არა უძლევიარა. მხლა მოვალეობის ქალაქი მე ვიყავდე და ჩემთვისა ვდეოზ.

მგჯდ. მანც, რამდენს ედავებოთ?

არტემ. სწორე ანგარიშით უნდა მომცეს ოთხმოც-და-რვა თუმანი და ესლა თუ მალე მომიხერხებს როგორმე, ოთხმოც თუმანსაც დაეჯერდები.

მგჯდ. ჰუ! იმ საცოდავს კარგა ცოტა ჰპართებია! ის კი არა, ესლა ამ სოფლის პირველი გლენი რომ ცოლ-

რომელთაგან ხსენებულ დაწესებულებათ მალლობა და წრმატების ნატერა მოუყდათ პასუხად.

\*\*\*

ზამბეტას სიკვდილის გამო, ბაქოში როგორც იქაურს გახეთში „ქსაში“ იწერებინ, გავლილ 24 ქრისტიშობისთვის, პანაშეიდი გაუმართავთ. ბაქოში კი გაუმართავთ, მაგრამ ჩვენმა ქალაქმა კი და აქაურ ფრანკუზებმა კი არ გაპართეს; მაგრამ ამის მიზეზი, უეჭველია ის უნდა იყოს, რომ ზამბეტა მანც-და-მანც ღვთის-ნიერი კაცი არ იყო და, იმის ცხედარს სამღვდელოება არ გაპყოლია, რადგან ესე იყო იმია სურვილი და ანდერძი.

\*\*\*

ზაზეთის „შრომის“ რედაქცია აცხადებს, რომ ამ გაზეთის ცენზურა ტფილისში გადაიტანესო.

\*\*\*

იორდანეს გამართვის თაობაზედ გაეფეთ, რომ რადგან თ. ი. ძ. ბაგრატიონ-მუხრანსკი თავის მამულზე არ უშვებს სომხებს იორდანეს გასამართავად, ამის გამო ბ. მირზოვესაც მმართლ-მადიდებლებისთვის სამაგიეროს გადახდა განუზრახავს: არც ის უპირებსო ნება-რთვის მიცემას, რომ იმის მამულზე გამართონ მსართლ-მადიდებლებმა თავიანთი იორდანე.

\*\*\*

დღეს, 5 იანვარს, შუადღეზე, ვერის ხიდის საფუძვლის ჩაყრა არის დანიშნული. თერთონ ხიდი კი, როგორც ამას წინადაც იყო ნ. თქვაძე, ამ 1883 წლის განმავლობაში უნდა გაკეთდეს.

\*\*\*

მთხელ არ გვილაპარაკნია ჩვენს გაზეთში იმ დაუდევრობაზედ, რომელსაც ჩაღიან თავ-აწყვეტილი მეფაიტონე

შეილიანად გაპყილო, ორმოც თუმანს ვერ შეიძლებს მოგცეს, აბა ის საილამ მოიშოროებს ესლა მაგოდენა ვალს?

არტემ. მეც აკი ვამბობ, საქმეს დაეხედავ-მეთქი და თუ სინიღისიანად მოიქცა, ოთხმოც თუმანს დაეჯერდები.

მგჯდ. ლმერთსა ვფიცავ, ესლა ის ოთხმოცს კი არა, ვერც ოცს გაღიხდის ამ ცოტა ხანში.

შემოდის მამასახლისი.

მამასახლ. შანდობა, მამაო! ძნა-ხებს გაუმარჯოთ! რას მიბძანებდოთ? ზრისტავი. შენ ერთი მამულაშეილი უნდა მოგვეგარო! აი ამ კაცს ფული ჰპართებია და გვინდა მოვილაპარაკოთ.

მამასახლ. დიად, ბატონო, მე ბიჭ-მა-ვე მითხრა და გზირი გაგვზავნე, ესლავე გაიხლებათ.

არტემ. ბეთაყვა, მამასახლისო, ერთი მარღათ მოაყვანიე, სხვაგან ვართ წასასვლელი.

მამასახლ. დიად, მალე გაიხლებათ, თუ კი ღორში არ განლაფთ.

არტემ. ღორიცა ჰყავს? მაშ კარგი შეძლებული ყოფილა, როგორც სჩანს, აი!

ნეები. წარსულს ორშაბათს ერთი ფაიტონი დაეჯახა ველსა და ველ-მილს, მოხუცს გლანას და სულ დამსხვრია. ხალხმა დაიჭირა მეფაიტონე № 146 და გაგზავნა პოლიციასში.

\*\*\*

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქართული წარმოდგენების მოყვარულთ დასი შემდგარა, რომელიც აპირებს აგლობარში წარმოდგენების გამართვას.

„დროების“ კორექტორი

ს. კარდანიანი, 30 დეკემბერს. დღეა შობის უქმეები და მოჰყვა თანაც ჩვენს სოფელში სხვა-და-სხვა დროს გატარება. ამ დროების-გატარებაში პირველი ადგილი დაიჭირა სპექტაკლმა, რომლის გამართვაში ყველაზედ ბევრი შრომა გასწია ადგილობრივმა სოფლის მასწავლებელმა ბ. ი. ც— შეილმა. მარამ არა ნაკლები შრომა მიიღო თავის თავზე ს. ვ—რის მასწავლებელმა—ბ. დ. ჯ—შეილმა.

სოფლის მასწავლებელს ვალად სდევს არა-მარტო ბაყმეების ცარიელი ანბანის სწავლება, არამედ მათი და ყველა გლენს კაცობის ხნობით მალლა აწევს. ამ ორს შრომის მოყვარე მასწავლებელს გამოუცხადეს თვისი თანაგრძობა ადგილობრივ მცხოვრებ სცენის მოყვარე ქალებმა და ვაჟებმა, რომელთაც კიდევ მიიღეს მონაწილეობა. ორს მასწავლებელს გარდა იყვნენ; მლ. მანძიასა, მკ. ანდრონიკოვისა, დარ. მანძისა, მ. მანძისა, დ. მანძე და ი. მანძე. ამ პატივცემულ პირთ არ დაზოგეს ლაფში და თოვლში სიარული პიესების მოსამზადებლად და გულმხურვალედ მოეკიდნენ თავიანთ საქ-

მასსახლ. დიად, სხვისა აზიარია. არტემ. მანც იმასაც წილი ექნება?

მამასახლ. როგორ არა, სანახევროა. შემოვა მამულაშეილი.

ნინავა მამულაშეილი. (შეშინებული, დაგლეჯილი ფარჯით). შანდობა მამაო, ყაწყალები აღდგდებოდა.

ზრისტავი. მაგ-მარჯოს! იცი რად დავიბარეთ? აი ამ კაცს იცნობ? (უჩვენებს არტემას).

ნინავა. არა, ბატონო, აბა მე მაგას რას ვიცნობ?

ზრისტ. ეს კაცი შენ გედევება ფულსა, რომელიც ათი წელიწადია, რაც ამისაგან გისესხნია.

ნინავა. არა, ბატონო, მე მაგისაგან ფული არ მიესხნია და რა ვიცი.

არტემ. არა, ბატონო პრისტავო, მაგას უსესხნია ფული სიღნაღის ვაჭრისაგან, ჩემი ნათესავისაგან, რომელმაც ეს საქმე მე მომანდო და ესლა მე ვდავობ იმის მაგიერად. აა მონდობის ქაღალდიც!

ზრისტ. მართალია, სიღნაღის ვაჭრისაგან გეცალნია ფული?

ნინავა. ჰო-ო! დიად, ბატონო, ჩემი ნათლისაგან ვივალე, ძარაპეტასაგან ხუთი თუმანი და ვენახი დაეუ-



მეს. აქედან ცხადად სჩანს, რომ ეს სცენის მოყვარენი, შემდეგშიც რომ რამე საკეთილო საქმე გამოჩნდეს, უფრო მეტად გულ მხუთვარებით მოეკიდებიან.

ითამაშეს ორი ვოდვილი. პირველი „ცალი თუ გინდა ეს ანის“ მ. აბაშიძისა და მეორე „ბუტყაობა“ თ. ა. წერეთლისა. ანტრაქტებში იყო წაკითხული სცენები იმერლების და სომხების ცხოვრებიდან. მა სცენები აღასრულა ბ. ც—შვილმა. ორივე ვოდვილი ითამაშეს გვარიანად. მინცა და მინც ჰქონდათ ცოტადენი ნაკლებიდან, მაგრამ საჭირო არ არის მათი საქვეყნოდ გამოცხადება, რადგანაც ეს მოთამაშე პირები პირველად გამოვიდნენ სცენაზე და მიეტყველებათ კდვს.

სპექტაკლზედ დაესწრნენ როგორც თავადნი, ისე ბევრი გლეხ კაცებთანაც და სოფლის მოსწავლენიც. მაყურებელნი დარჩნენ ძლიერ კმაყოფილნი.

შემოვიდა ფული სულ 45 მ., აქედან სცენის მოსამზადებლად დაიხარჯა 15 მ. და დანარჩენი 30 მ. ჩაბარდა მასწავლებელს ბ. ც—შვილს, რომელმაც უნდა მოაზოვოს ამ ფულით ზოგიერთა საარგებლო წიგნები ქართულს ენაზედ სკოლის წიგნთ-საკაფისათვის.

დასასრულ სულითა და გულით ვიმედოვნებთ, რომ ეს მოთამაშე პირნი არ მოგვაკლებენ ამისთანა საამო და სასარგებლო დროს-გატარებას შემდეგშიც და ამასთანავე დიდ შემწობას აღმოუჩინენ ადგილობრივ ღარიბ სოფლის სკოლას.

მაყურებელი ილიაძე.

**მცირე ისტორიული შენიშვნა.**

ამ ბოლო დროს მსწავლულთა მიაქციეს ღიდი ყურადღება აღმოსავლეთის ქვეყნებს; მთელი არხეოლოგია და ძველი ისტორია იმის გამოკვლევას შეუდგნენ, თუ სად მოადგა პირველად ფეხი ხალხოსნობამ, სად დაიბადა, აღიზარდა და საიდან გადასახლდა სხვა ქვეყნებში.

მეცნიერნი და მსწავლულნი მხოლოდ იმას ამბობენ დაბეჯითებით, რომ აკენი ხალხთა პირველის ნათესავისა იყო აღმოსავლეთის ქვეყანა; მაგრამ ჯერჯერობით იმას კი გადაწყვეტით ვერ ამბობენ, თუ რომელი იყო „ეს აღმოსავლეთის ქვეყანა“. წერილობითი საბუთები იმისთანა არ არის, რომ კაცმა ერთ-ერთი დასკვნა გამოიყენოს და სხვანიც დაიყოლიოს და დააჯეროს თავის დასკვნის სინამდვილეში.

მოგვხსენებთ, რომ ძველ ისტორიულ ნაწერთაგან დაშენილია მეცნიერებისათვის მხოლოდ სამი: 1) მოსეს დაბადება, 2) ზენდა-მესტი და 3) რიგ-მედა. ეს სამივე თხზულებანი ხალხოსნობის აკენს ეძებენ სხვადასხვა ადგილას: ერთი (დაბადება) მცირე აზიაში, მეორე (ზენდა-მესტი) საშუალო და სამხრეთ აზიაში. მეცნიერნი ამ ბოლო დრომდის, დაბადების მიხედვით, ხალხოსნობის აკენად სთვლიდნენ ტიგროსის, მტრატოსის, შისონის (ჩვენი რიონის, ვინა ჰოროხის) და არაზის ხეობებს შუა ქვეყნებს, ესე იგი მცირე აზიას; მაგრამ უახლესმა მსწავლულებმა (სხვათა შორის შლარმა) თქმულებანი ზენდა-მესტისა და დაბადებისა შეადარა, შეათანხმა და აკენი ხალხოსნობისა მოსძებნა იქ, საცა დიან-ინდისი, სირ-დარიოსი და ამურ-დარიოსი არიან, ესე

იგი საშუალო აზიაში; და ამ ნაირად დაარღვია ის ძველი აზრი, რომ, ვითომ, ხალხოსნობა დაბადა მცირე აზიაში და იქიდან ზოგი ბოსფორის ყელიდან, უმეტეს კი ჩვენი საქართველოდან გადასახლდა მეროპაშია (დასავლეთისა და ჩრდილოეთისკენ) და ზოგი კი სუეცის ყელიდან აფრიკაშია (ამხრეთისკენ). ამის წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა შლარმა და მას ბევრმა ბანი უთხრა, რომ შუაგულ აზიაში დაბადებული და გამრავლებული ხალხი დასავლეთისკენ, სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ გადასახლდა იქიდან.

სხვათა შორის, შლარი ამბობს, რომ ხალხოსნობის მიმავალი გზა სრულიად არ არის (როგორც სხვებს გონათ) საქართველოვო, არამედ ძანის ზღვის (ბირკანის) ჩრდილოეთი სპირებო, მდ. პოლვაზე ნავტიკით გადადიოდნენ და მიდიოდნენ დასავლეთისკენ. თუ კი ხალხოსნობა მიდინილიყოს საქართველოს ნიადაგზ მამინ ეჭვი არ არის, რომ ყოველი ხალხი აქ დასტოვებდა თავის კვალს, მაგრამ აწიდეღს მკვიდრ მცხოვრებში ჩვენ ამას ვერა ვხედავთ, ეს ხალხნი (ქართველთ ერთი ბერნი სპარნი, მოსხნი) ისტორიის ბნელ დროთაგანე იმავე ადგილას სცხოვრობდნენ, საცა ეხლაა. თუკი აქეთ წოსულიყვნენ ხალხნი, ეჭვი არ არის, რომ უფრო მძლავრნი ერნი განდებოდნენ ქართველებს მათ სამკვიდრ ქვეყნიდან და ამ მშენიერს კთხეს თვითონ დაისაკუთრებდნენ. ამით სჩანს, რომ ქართველები ხალხთა გადასახლების დროს, შუაგულ აზიიდან მოვიდნენ დასავლეთისკენ, მოაწიეს ძაკასიონის მთებამდ თვისი კულტურული და დიდამესანიშნავი ცხოვრობა.

პირველად ქართველნი დასახლდნენ მტკვრის სათაურებზე, მესხეთში, და იქიდან მტკვრის გაყოლება დაიჭირეს მდინარის ორთავე ნაპირებო და მერე გაავრცელეს თავისი უფლება ლის იქით, ვიღრე აფხაზეთამდის, სპერამდისაო (ჰოროხზე).

აწინდელი არქეოლოგიური მეცნიერება კი ქართველთა გავლენას დაედებს უფრო შორს სამხრეთისკენ, ვიდრე ბაბილონ-ნინევიამდის. უფლება ქართველთა ძაპალოკიაზე ცხადად გამოსთქვა დ. ი. ჩუბინაშვილმა 1880 წ. ტფილისის საარქეოლოგიურ კრებაზე და ამ ბოლო დროს, ლუის-გულის წარწერების წყალობით, ქართველთა გავლენა და კვალი მცირე აზიაში დარწმუნებით აღიარა ლენორმანმა. ამასვე ამბობენ ეხლა საფრანგეთის არქეოლოგონი (იხ. „დროება“ № 273, 1882 წ.).

შცხო ხალხნი, უცხო ტომის მეცნიერნი ცდილობენ გამოიკვლიონ ჩვენი წარსული, ჩვენი ძველი ისტორია; და საუბედუროთ, ჩვენ კი იმავე დროს ისეთი საკუთარი, ნაცოხალური გონებითი ძალა არა გვაქვს, რომ თავათ შევისწავლოთ ღვიძლი ისტორია და ბევრით შესანიშნავი ჩვენი წარსული. პირ-იქით, ბევრს სასაცილოდაც არა ჰყოფენ ამ გვარი სურვილიც კი, არა თუ პირადი მოწაწილეობა და მოღვაწეობა სამშობლო არქეოლოგიის დაარსებაში და დამკვიდრებაში. წარსული ჩვენი რა ნაირიც იყო, ჩვენთვის საჭირო არ არისო, ჩვენ დაგამყაროთ ბედნიერი მომავალია. ამის მთქმელთ ავიწყდებათ, რომ ყოველის ხალხის მომავალი წარსულზე უნდა იყოს დამყარებული.

მაგრამ რაც უნდა თქვან ამ გვარ პირთა, მინც არქეოლოგია სა-

გირავე, ექვსი საპანე ღვინო უნდა მიმეცა.

**პრისტ.** მაშ ჰკისრულობ ეალსა! ეს კაცი გედავება შენ ოთხმოც-და-რვა თუმანს თავნა და სარგებელს, რას იტყვი ახლა შენ?

**ნინიკა.** (ელდა ნაცემი, თითქმის ტირის). რა ექნა, ეალს მოშორება უნდა, მაგრამ თქვენ რას მიბძანებთ, ბატონო, ჩემი დაღუპვა გასურთ? მე ასე მეგონა ერთი ათი თუმანი იქნებოდა და თქვენ ოთხმოც-და-რვა თუმანს მიბძანებთ?

**არტემ.** აი, გიანგარიშებ და თუ სწორედ არ იყოს თავნი და სარგებელი, მაშინ რაც გინდა, თქვი, ძმა!

**ნინიკა.** რა მიანგარიშო, მე კი არ ვიცი? ათი წელიწადია, რაც ჩემი ნათლიიდან ხუთი თუმანი ვისესხე, ექვსი საპანე ღვინო დამაწერა. სამი წელიწადი ხან ოცი ჩაფი, ხან ოც-და-ხუთი, ხან ერთი ცალი ვაძლიევი; კვიტანციები კი არ მირთმევიან, ნათელი იყო და მირიანი. მერე ოთხი დანარჩენი საპანე ფულად დამაწერა, ათ თუმანად და თუ ფული ვერ მიმეცა, ათი საპანე ღვინო უნდა მიმეცა. ახლა ოთხმოც-და-რვა თუმანი საიდანღა შედგა, შე დალოცვილო!

**არტემ.** მას აქეთ რვა წელიწადია, იანგარიშე, ახლა თავნი ათი თუმანი, იმის სარგებელი და თუ არ შეადგება... ძიდე გეუბნები: თუ სინდისიანად მოიქცევი და მალე მომიხერხებ როგორმე, ოთხმოც-და-რვა თუმანი დამ ოთხმოც თუმანზე ჩამოვალ-მეთქი, სხვა რაღა გინდა?

**პრისტ.** აბა რას იტყვი, ძმა? მეც შეგეწვევი, აი, ეს ღვინოც, სამოც თუმანზე ჩამოვიყვანთ, მისცემ?

**არტემ.** არა, უფალო პრისტავო! მე აღარ შემიძლიან ოთხმოც თუმანზე ძირს ჩამოვიდე; მე ვგონებ ესეც კარგი წყალობა უნდა იყოს.

**ნინიკა.** შელითაც რომ ჩამამიღოთ, მაგ ფულს მიცემა არ შემიძლიანოცხლემო მოუპოვია და ეხლა ისიც აშაო, აი ჩემი თავი, რაც გინდოდეთოღარ გინდათ, რომ სხვაგან მინც სიღნაღს წავალ: ჩვენი ნათლია იმი

თანა კაცი არ არის, ის ჩვენზე თავ დღეში მაგ საქმეს არ დაიჭერდა.

**არტემ.** თუ ვერე ამაყად დაიწყო მშობილო, დაპარაკს, აღარც იმ თუმანს ვაპატივებ და სრულიად გართმევ. უფალო პრისტავო, გთხოვ ამ კაცის სახლშივე წავიდეთ, და რაქვს აუწეროთ.

**სიკა.** (ნინიკას) გაპცი, ძმაო,

გიჩვენ ფარაჯა-ლა შერიჩინო და შეთავს უშველო! შანებე ყოველგვრს თავი და უთხარი: ემენდა რ, რამა მაქვს, ვენახიც და სარჩოც, წღეთ, თუ კი აგიდგებათ ოთხმოცი თმისა-თქო!

**არტემ.** (სიკას). მე თქვენა გთხოვთ ისა საქმეში ნუ ერევი; თუ მაპოვერენი ჰბძანდებით, ამ თვის ფულს სულში წამოაბანდით და იქ დაპარაკეთ; თუ არა და გთხოვთ კაცს ნუ მიშლით.

**სიკა.** ძალო! ღმერთი აღარ არის?! აცს—უენო გლეხს, ხუთ თუმანში ოთხმოც და რვა თუმანს ართმევთ,

რომევეთ ყოველისფერს, რაც კი სითმევეთ გლეხია, გაჯიუტდება და მერე გინდ კეთილა ჰცემო თავში, ბევრიც რომ ჰქონდეს, ვეღარაფერს დახწევ. როგორ არ ეწყინოს კაცსა? თქვენ აქ პირ-და-პირ მტრობას მიცხადებთ!

**არტემ.** მე მაგის დარდი არა მაქვს! მე იმას ვჩივი, რომ ეხლა რაკი ვეგაუთლელი გლეხია, გაჯიუტდება და მერე გინდ კეთილა ჰცემო თავში, ბევრიც რომ ჰქონდეს, ვეღარაფერს დახწევ. როგორ არ ეწყინოს კაცსა? თქვენ აქ პირ-და-პირ მტრობას მიცხადებთ!

**სიკა.** მხლაც მაგას ვიტყვი: დიდი

უღმერთობაა! შამაართვით ხუთ თუმანში, თხუთმეტი თუმანი, ოცი, ოც-და-ათი და არა ოთხმოცი და ოთხმოც-და-ათი თუმანი; რომელითაც ერთი კომლი კაცი ამ სოფლიდან თითქმის უნდა ამოჰფხენათ.

**არტემ.** როგორც მე ვხედავ, თქვენთან პატიოსან კაცს არ ელაპარაკება... არა, უფალო პრისტავო, მე გთხოვთ ამ გლეხის სახლშივე წავიდეთ და იქ ყოველივე გაეარჩივით. აქ ჩვენ რა საქმე გვაქვს.

**პრისტ.** სულ ერთია ჩემთვის, მაგრამ სჯობია დაუკლოთ რამე, ამასაც შეაძლებინათ.

**არტემ.** არა, გეთაყვათ, წავიდეთ და იქ მე ვიცი ყოველივე, როგორც დავიჭერ საქმეს.

**პრისტ.** ძარგი, მე ძალა არა მაქვს, წამოვალ.

**არტემ.** ჰოდა წავიდეთ! (ნინიკას). შენ გაპცი და ჩვენც ეხლავე იქა ვართ; ვინძლო რაც რამა გექვს, სინამ მოვიდოდეთ, მიჰმალ-მოჰმალო, როგორც გარიგებენ! (ნინიკა მიდის პრისტავი გამოემზადება მღვდელს, სიკას; არტემს აწავის გლეხის კაღაზე მიდის).



ქვეყნად აღვიარებულია სასარგებლო საგნად. მამოჩენილი ნაპოლონ ბონაპარტეც კი თავის მხედრის ქუთით ჰგონობდა, რომ ყოველი ხალხის ნობის მკვიდრად ხელში დაქვეითდა ალორძინება შეიძლება მხოლოდ ხალხის წარსულის გაცნობით; მხოლოდ ხალხის ყოველ მხრე შესწავლით შეიძლება მისი წარმატების გზებზე დაყენება, მისი პროგრესი და ამიტომ მან თავის მხედრობასთან ერთად წაიყვანა მკვებობა (მასობა) მთელი ეკლესია მწველულთა და მცენერთა.

არქეოლოგია ბოლო დროს მეტად საინტერესო და საჭირო მცენერებად შეიქმნა. შოველი მცენერული აქედმია თავის ვალად ჰრაცხს შეიწველოს ძველი ქვეყნები და ხალხთა კულტურა, მისი ალორძინება. ამიტომაც აღმოაჩინეთ ქვეყნები საინტერესონი გახდნენ. პეტერბურღის აკადემიამაც ამ საგანს მიაქცია ჯგეროვანი ყურადღება და ისურვა აღმოაჩინეთ შესწავლა. მითქმის პირველი აღვილა არქეოლოგიურის მხრით უჭირავს საქართველოს ძველს კულტურას, როძელსაც მიაპყრეს უმთავრესი ყურადღება როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნებში. ჩვენ ვიცით, რომ პეტერბურღის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ სთხოვა ლ. ზ. ბაქრაძეს იერუსალიმის, ხანის, ათონის და სხ. ძველთა ქართველთა ნაშთთა გაშინჯვა და გაცნობა, რადგან ივინი შეიცავენ დიდ და საინტერესო მასალას. ჩვენ ვქვი არა გვეონდა, რომ ხსენებული საზოგადოება ამ საქმეს უსათუოდ მიანდობდა ისე წარსულთა მკვლევ პარს, როგორც პრის ბ. ლ. ბაქრაძე. მაგრამ ეხლა გაიგეთ, რომ საზოგადოების მინდობილებით ბ. სავარელს დაავალეს ეს შრომა და რამდენად აღასრულებს ამ უხუშარ და ძნელ საქმეს ბ. სავარელი, მომავალი გვიჩვენება.

открыта подписка на 1883 годъ.

**МОСКВА**

годъ второй.

ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЬ

Въ журналѣ принимаютъ ближайшее участіе почти всѣ известныя русскіе художники.

Журналъ „Москва“ составиъ въ годъ 2 большихъ тома болѣе 1200 страницъ разнообразнаго литературнаго текста.

Историческіе романы и повѣсти, съ рисунками, очерки и рассказы изъ русской жизни статьи по вопросамъ искусства, сцены, юмористическіе наброски, остроты, анекдоты, курьезы, переводныя иностранныя романы и разнообразный отдѣлъ „смѣси“.

Въ теченіе года будетъ помѣщено множество вишютокъ, портретовъ и иллюстрацій къ рассказамъ и повѣстямъ.

Всего болѣе двухъ-сотъ большихъ, оригинальныхъ рисунковъ, исполненныхъ цвѣтными красками.

Съ 1-го января начнется печатаніе большаго иллюстрированнаго историческаго романа изъ XIV вѣка.

Къ участію въ журналѣ приглашены лучшія литературныя силы.

Всѣмъ подписчикамъ на 1883 годъ будетъ разослано пятнадцать роскошныхъ художественныхъ премій, печатанныхъ красками на виленовой бумагѣ большаго размѣра.

**ГЛАВНАЯ ГОДОВАЯ ПРЕМІЯ**

большая лабированная деографія историческая картина художника К. В. Лебедева

**РУССКАЯ СВАДЬБА ВЪ XVI ВѢКѢ**

**ПРОВОДЫ МОЛОДЫХЪ ВЪ ОЧИВАЛЬНОЮ.**

За приложенную на пересылку почтовую марку (въ 7 коп.) редація высылаетъ, всѣмъ желающимъ, для ознакомленія съ журналомъ, подробное объявленіе и образцы шогихъ рисунковъ въ краскахъ.

подписная цѣна.

- На годъ безъ доставки . . . . . 7 р.—к.
- На полгода . . . . . 4 „—„
- На 1 мѣсяцъ, безъ главной преміи 1 „—„
- На годъ съ доставкой пересылки 8 р.—к.
- На полгода . . . . . 5 „—„
- На одинъ мѣсяцъ . . . . . 1 „50

Для гг. служащихъ, какъ въ вѣдѣхъ такъ и казенныхъ учрежденіяхъ (въ Петербургѣ, Москвѣ и другихъ городахъ) доускается разсрочка за ручательствомъ гг. казначеевъ и управляющихъ.

Подписка принимается во всѣхъ книжныхъ магазинахъ Москвы и Петербурга въ конторѣ редакціи: при литографіи И. И. Зангъ уголь Знаменки, д. Звѣрева, въ отдѣлахъ конторы редакціи: Петровка, домъ Петроваго монастыря, при типографіи А. В. Дитмъ.

Гг. иногородныя подписчики благовольте обращаться исключительно въ конту редакціи на имя И. И. Зангъ.

(—3)

**განცხადებანი**

1883 წ. 7 იანვარს თბილისის კრუეოკში იქნება **ბალი**

სასარგებლოდ შეუძლებელ მოსწავლეთა და მხარებელის თფილისის გუბერნიის თავად-ახსაურთა საზოგადებისა. დაწყება ღამის 9 საათ.

არწრუნის თეატრი. კვირას, 9 იანვარს ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

**საშობლო**

ღრამა 5 მოქმ. 7 სურათად ფრანკოზული დამოკ. თ. ლ. ზ. მრისთვისაგან. დასაწყისი 8 საათზედ.

ვინა-პითხვის საზოგადების გამოცემა:

გაგ-ანაგნი, გალექსილ თ. რ. მოსთ:ვისაგან, სურათითი გამოცემა მეორე, ფასი ქვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწურო მოხზობა, თ. რ. ზ. ანდრსი-კაშვილისა, ფასი სამი შაურ

სატაგური, საყმაწვილო თ. ხრობა, თ. რ. ანასტასია მან-ნიშვილისა, ფასი ორი შაურ.

მ. წიგნები ისყიდება საზოგადების კანცელარიაში და გუნების მალაზიებში. პინც ნუს ფულზედ ერთბაშად იყიდის 5 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნსა. დაფთობა 20% ანუ ნეზზედ ერთი აბაზი და მიცე: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წილი ფარანი 12 კაპ. და სტრი 8 კაპ. (10—8)

3. შავროლოვის გაუქმის სააგენ-ტოში ტვილისში (ბოლოვინის პრო-სპექტზე ძლეკსანდროვის ბ. ღთან სა-კუთარს პავლიონში).

მიღება ხელის მოწერა 1883 წლისა

შოველ გვარ ყურნალებზედ და გაზეთებზე აღვლობრიე, რუსულ და სამზღერ ვარეთებზედაც. (20—20)

მართველ ძალაგისაგან ნათარგმნი

**გოთხრობანი**

წიგნი მეორე.

ისყიდება ტვილისში: შავროლოვ-თან, ჩარკვიანთან და ბრიკუროვის წიგნის მალაზიაში (ბალის პირ-და-პირ).

მუთანისში: ჰილაძის და ნიკოლა-ძის მალაზიაში.

გორში: მ. ძერესელძესთან.

გაცემა იჯარით მაშული თელა-ვის მაზრაში ს. შვარალში. საიჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სხსნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, ტყე და ორ თვალისა წისქვილი. არის აგრეთვე სახლი, მარანი და ყოველი სა-ჯარო შენობები და მოწყობილობანი.

მსურველს დაწვრიდეითი პირობების შეტეობა შეუძლიან ელისაზედ სოფლო-

ნის ასულის მსურველნი შეი-ღისში გოლოვინის პრო-სპექტზე ძლეკსანდროვის ბ. ღთან სა-ზოგადის სასაგანში ფოტოს სტანტიის პირდაპირ № 44. (20—11)

ბამცია

საკვება სორაგეულებთან, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, აქ-ნებში და დატარებთ 1 ანგრიადამ 16 ანგრამდის.

მამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

- პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 კ.
- მეორის „ — 1 გირ. 3 1/2
- მესამის „ — 1 გირ. —

მავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

- პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 კ.
- მეორის „ — 1 გირ. 4 კ.

ჯვარის-მამის პური:

- პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 5 კ.
- მეორის „ — 1 გირ. 4 1/2
- მესამის „ — 1 გირ. 4 კ.

ძროხის ხორცი:

- პირველის ხარისხის — 1 გირ. 10 კ.
- მეორის „ — 1 გირ. 9 კ.
- სუკი — — 1 გირ. 16 კ.
- მეორის ხორცი 1 გირ. 10 კ.

ღორის ხორცი:

- პირველი ხარისხის — 1 გირ. 10 კ.
- მეორის „ — 1 გირ. 10 კ.

открыта подписка на газету

**КАВКАЗЪ**

на 1883 годъ.

Газета будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ какъ и въ нынѣшнемъ 1882 году, подъ той-же редакціею. По понедѣльникамъ городскіе подписчики будутъ получать бюллетени съ полученными въ воскресенье телеграммами, которыя для иноградныхъ подписчиковъ будутъ помѣщаться въ слѣдующемъ №.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: съ доставкою въ Тифлисѣ: на годъ—11 р. 50 к.; на полгода—6 р.; на три мѣсяца—3 р. 50 к.; на одинъ мѣсяцъ—1 руб. 50 коп.

Съ пересылкою иногороднымъ: на годъ—13 р.; на полгода—7 р.; на три мѣсяца—4 р.; на одинъ мѣсяцъ—1 руб. 75 коп.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты „Кавказъ“, на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5, Сараджева. Иногородныя подписчики адре-суютъ свои требованія: въ Тифлисѣ, въ редакцію газеты „Кавказъ“.

Разсрочка платежа подписныхъ денегъ допускается на слѣдующихъ ус-ловіяхъ: для городскихъ подписчиковъ: при подпискѣ 5 руб.; въ концѣ марта 4 руб. и въ 1-му августа 3 руб. Для иногородныхъ: при подпискѣ 6 руб., 1 го апрѣля 5 руб., 1-го августа 3 руб.

Иноградные могутъ подписываться лишь съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца 1883 г. (6—1)

Открыта подписка на 1883 годъ (VIII годъ изданія) на **БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ**

газету, издаваемую Бакинскимъ Отдѣленіемъ Императорскаго Русскаго Техническаго Общества.

Издаваемая въ центрѣ извѣстной всему міру Бакинскои нефтяной промышлен-ности, трудами учрежденія, группирующаго въ себѣ лучшія интеллигентныя силы края, газета ставитъ своею задачею:

Давать полныя, новѣйшія свѣдѣнія о нефтяномъ производствѣ. Кромѣ того, Редація приложитъ старанія къ собиранію возможно пол-ныхъ свѣдѣній о другихъ, очень значительныхъ, видахъ мѣстной промышлен-ности—рыбной (главнѣйшей на Кавказѣ), соляной, земледѣльческой и пр. Затѣмъ будетъ удѣлено мѣсто интересамъ мѣстной общественной жизни: народному образованію, самоуправленію, законоположеніямъ, ихъ касающимся и пр.

Подписная цѣна:

- на годъ, на полъ-года, на 3 мѣс., на 1 мѣс.
- Безъ пересылки 6 руб. 3 р. 50 к. 2 р. 75 к.
- Съ пересылкою { въ Россію 7 руб. 4 р. 2 р. 1 р.
- { Заграницу 8 руб. 4 р. 50 к.

Подписка принимается: въ гор. Баку, въ Редаціи, помѣщающейся въ квартирѣ Отдѣленія Императорскаго Русскаго Техническаго Общества, у крѣ-постныхъ воротъ, домъ Ашумова. (3—1)